

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ოქმი N6

ქ. ზუგდიდი

1 მარტი 2019 წელი

2019 წლის 1 მარტს გაიმართა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა;

სხდომას თავმჯდომარეობდა: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მ/შ ბესიკ ჭეჭია

საკრებულოს სხდომას ესწრებოდა 36 დეპუტატი: ბესიკ ჭეჭია, თაზო ფაცაცია, ეკატერინე კიფაია, დავით გახარია, სანდრო სორდია, ოთარ ქადარია, დაზმირ ძიმციეშვილი, ირაკლი ლაგვილავა, მიხეილ ჯობავა, ანა წითლიძე, ბათლომე შელია, კონსტანტინე კაკავა, ირუზა კაკავა, ედიტა კოდუა, ზაზა პროკოპენკო, ოთარ მარშავა, სალომე ფაცაცია, ზაზა ანდრიაძე, მამუკა ყურაშვილი, გია დანელია, ჯანსუღ ჯაბუა, რევაზ თორდია, გიორგი კუკავა, არჩილ ბერანძე, მანანა მეზონია, გოგი თოდუა, სოსო გოგობია, გიორგი თოდუა, ლაშა ესებუა, რამაზ ჯაბუა, მალხაზ ციკუტანია, ტარიელ გაბულდანი, ზვიად ქირია, ირაკლი ჯანაშია, პაატა ადამია, თენგიზ ალმასია.

საკრებულოს სხდომას არ ესწრებოდა 14 დეპუტატი: მამუკა წოწერია, თამუნა ჯიქია, ზვიად ყორშია, ჯონი ჯიქია, ამირან ჩხოლარია, დავით შელია, მამუკა თოლორაია, დავით ჭაფანძე, პაატა ებრალიძე, ზურაბ გოგომე, გოგიტა ზარქუა, ზაზა ხუბუა, ირაკლი ღურწკაია, გელა თოლორაია.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: მიხეილ ცირდავა-ასოციაცია კოლხური ვაზისა და ღვინის ხელმძღვანელი, ნონა ესებუამ-მერის წარმომადგენელი ცაცხვის ადმინისტრაციულ ერთეულში, ნატალია პაპასკირი-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი, არასამთავრობო სექტორის, პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლები;

სხდომას მდივნობდა: საკრებულოს მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი სოფიო ჯიქია;

სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე;

სხდომა დამთავრდა: 15:30 საათზე;

სხდომის თავმჯდომარემ ბესიკ ჭეჭიამ სხდომის მონაწილეებს, დამსწრე საზოგადოებას მიულოცა გაზაფხულის პირველი დღის დადგომა და გააცნო მორიგი სხდომის

დღის წესრიგი

1. ზუგდიდის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ;

მომხსენებელი: ეკატერინე კიფაია-განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგზრდულ და გენდერულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

2. „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ (ადგილობრივი და დევნილი) პირთა სამედიცინო მომსახურებისა და ძვირადღირებული მედიკამენტებით დაფინანსების პროგრამის დამტკიცების თაობაზე“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 22 იანვრის N3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

მომხსენებელი: ოთარ ქადარია-ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

3. „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული (ადგილობრივი და დევნილი) პირთა სოციალური პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 22 იანვრის N4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

მომხსენებელი: ოთარ ქადარია-ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

4. „საქართველოს რეგიონალური განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის №43 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

ირაკლი ლაგვილავა-ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

5. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ;

მომხსენებელი: ბესიკ ჭეჭია-საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

6. „ნარჩენების მართვის კოდექსის 31-35-ე მუხლებით, 36-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, 39-ე მუხლით, 43-ე მუხლის პირველი ნაწილით და 46-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ნორმატიულ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ;

მომხსენებელი: ბესიკ ჭეჭია-საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

7. სხვადასხვა საკითხები

სხდომის თავმჯდომარე ბესიკ ჭეჭიამ კენჭი უყარა სხდომის დღის წესრიგს

მომხრე -36 დეპუტატი, წინააღმდეგი- არცერთი;

დამატკიცეს: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 1 მარტის მორიგი სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით;

საკრებულომ მიიღო N18 განკარგულება (თან ერთვის)

დღის წესრიგის პირველი საკითხი: ზუგდიდის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ;

მომხსენებელმა ეკატერინე კიფაიამ აღნიშნა: საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-4 პუნქტისა და მე-19 მუხლის „ბ“ პუნქტის და „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული ზუგდიდის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით რაიმე შენიშვნა ან წინადადება არ გამოთქმულა;

სხდომის თავმჯდომარემ ბესიკ ჭყვიამ დღის წესრიგის პირველ საკითხზე გამოაცხადა კენჭისყრა;

მომხრე -36 დეპუტატი, წინააღმდეგი-არცერთი

გადაწყვიტეს: ზუგდიდის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ;

საკრებულომ მიიღო N19 განკარგულება (თან ერთვის);

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ (ადგილობრივი და დევნილი) პირთა სამედიცინო მომსახურებისა და ძვირადღირებული მედიკამენტებით დაფინანსების პროგრამის დამტკიცების თაობაზე“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 22 იანვრის N3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

მომხსენებელმა ოთარ ქადარიამ აღნიშნა: საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული (ადგილობრივი და დევნილი) პირთა სამედიცინო მომსახურებისა და ძვირადღირებული მედიკამენტებით დაფინანსების პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 22 იანვრის N3 დადგენილებით (www.matsne.gov.ge 23/01/2019, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.105.016491) დამტკიცებულ დანართში შეტანილ იქნას ცვლილება.

აზრი გამოთქვებს

პაატა ადამიამ აღნიშნა: აღნიშნულ საკითხს ხმას არ ვაძლევ ვინაიდან ვთვლი, რომ ეს არასწორია იმ ფონზე მაშინ, როდესაც ჩვენი ბენეფიციარისთვის მცირედით ძალიან მნიშვნელოვანია.

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით სხვა რაიმე შენიშვნა ან წინადადება არ გამოთქმულა;

სხდომის თავმჯდომარემ ბესიკ ჭეჭიამ დღის წესრიგის მეორე საკითხზე გამოაცხადა კენჭისყრა;

მომხრე -32 დეპუტატი, წინააღმდეგი-4 (ანა წითლიძე, პაატა ადამია, მალხაზ ციკუტანია, ბათლომე შელია).

გადაწყვეტის: „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ (ადგილობრივი და დევნილი) პირთა სამედიცინო მომსახურებისა და ძვირადღირებული მედიკამენტებით დაფინანსების პროგრამის დამტკიცების თაობაზე“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 22 იანვრის N3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

საკრებულომ მიიღო N10 დადგენილება (თან ერთვის);

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული (ადგილობრივი და დევნილი) პირთა სოციალური პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 22 იანვრის N4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

მომხსენებელმა ოთარ ქადარიამ აღნიშნა: საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული (ადგილობრივი და დევნილი) პირთა სოციალური პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 22 იანვრის №4 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge 23/01/2019, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.105.016492) შეტანილ იქნას ცვლილება.

დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით რაიმე შენიშვნა ან წინადადება არ გამოთქმულა;

სხდომის თავმჯდომარემ ბესიკ ჭეჭიამ დღის წესრიგის მესამე საკითხზე გამოაცხადა კენჭისყრა;

მომხრე -32 დეპუტატი, წინააღმდეგი-4 (ანა წითლიძე, პაატა ადამია, მალხაზ ციკუტანია, ბათლომე შელია).

გადაწყვეტის: „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული (ადგილობრივი და დევნილი) პირთა სოციალური პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 22 იანვრის N4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

საკრებულომ მიიღო N11 დადგენილება (თან ერთვის);

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: „საქართველოს რეგიონალური განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის №43 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

მომხსენებელმა ირაკლი ლაგვილაგამ აღნიშნა: საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 27 თებერვლის №02/2220 მომართვის შესაბამისად, „საქართველოს რეგიონალური განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის №43 განკარგულებაში შეტანილ იქნას ცვლილება.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით რაიმე შენიშვნა ან წინადადება არ გამოთქმულა;

სხდომის თავმჯდომარემ ბესიკ ჭეჭუამ დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე გამოაცხადა კენჭისყრა;

მომხრე - 36 დეპუტატი, წინააღმდეგი-არცერთი

გადაწყვეტის: „საქართველოს რეგიონალური განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის №43 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

საკრებულომ მიიღო N20 განკარგულება (თან ერთვის);

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ;

მომხსენებელმა ბესიკ ჭეჭუამ აღნიშნა: საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №N1 დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა და 50-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის პირველი კვარტლის სამუშაო გეგმა.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხთან დაკავშირებით რაიმე შენიშვნა ან წინადადება არ გამოთქმულა;

სხდომის თავმჯდომარემ ბესიკ ჭყეიამ დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე გამოაცხადა კენჭისყრა;

მომხრე -36 დეპუტატი, წინააღმდეგი-არცერთი

გადაწყვეტის: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ;

საკრებულომ მიიღო N22 განკარგულება (თან ერთვის);

დღის წესრიგის მეექვსე საკითხი: „ნარჩენების მართვის კოდექსის 31-35-ე მუხლებით, 36-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, 39-ე მუხლით, 43-ე მუხლის პირველი ნაწილით და 46-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ნორმატიულ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ;

მომხსენებელმა ბესიკ ჭყეიამ აღნიშნა: საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106¹ მუხლის, „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტი) დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №1 დადგენილების დანართის 81-ე და 82-ე მუხლის საფუძველზე, „ნარჩენების მართვის კოდექსის 31-35-ე მუხლებით, 36-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, 39-ე მუხლით, 43-ე მუხლის პირველი ნაწილით და 46-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღებასთან დაკავშირებით დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება.

დღის წესრიგის მეექვსე საკითხთან დაკავშირებით რაიმე შენიშვნა ან წინადადება არ გამოთქმულა;

სხდომის თავმჯდომარემ ბესიკ ჭყეიამ დღის წესრიგის მეექვსე საკითხზე გამოაცხადა კენჭისყრა;

მომხრე -36 დეპუტატი, წინააღმდეგი-არცერთი

გადაწყვეტის: „ნარჩენების მართვის კოდექსის 31-35-ე მუხლებით, 36-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, 39-ე მუხლით, 43-ე მუხლის პირველი ნაწილით და 46-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის-ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა

ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ნორმატიულ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ;

საკრებულომ მიიღო N21 განკარგულება (თან ერთის)

სხვადასხვა

ედიტა კოდუამ აღნიშნა: ჩემს სოფელში იცით ყველამ, რომ მოეწყო წყლის მომარაგების სისტემა, თუმცა გაუმართაობის გამო მოსახლეობას წყალი დღესაც არ მიეწოდება. იგივე მდგომარეობაა გზებთან დაკავშირებითაც, ახლახან დაგებული გზის საფარი უკვე აცვენილია. მსგავს შემთხვევას ადგილი აქვს თითქმის ყველა სოფლებში, აქედან გამომდინარე ძალიან დიდი პრობლემაა და შესასწავლია, როგორც სატენდერო კომისიის მდგომარეობა ისე დასკვნისა და შეფასების კრიტერიუმები, რომ გავიგოთ თუ რასთან გვაქვს საქმე. არსებული დასკვნის მიხედვით უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები, რომელიც დადებითად არის შეფასებული ჩემთვის ნულოვანია. მეგობრებო ფული დავხარჯეთ და საქმე ვერ გავაკეთეთ, შესაბამისად საფუძვლიანად ვითხოვ, რომ შეიქმნას კომისია, რომელიც დაკომპლექტებული იქნება საკრებულოს წევრების თუ არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების მიერ, რადგან ერთპიროვნულად არ ხდებოდა გადაწყვეტილების მიღება.

ანა წითლიძემ აღნიშნა: ვეთანხმები კოლეგას და გეტყვით, რომ წინა მოწვევის საკრებულოშიც იგივე პრობლემა იყო, როდის და ვინ შეიძლება იყოს პასუხისმგებელი უხარისხოდ შესრულებულ სამუშაოებზე. მერიაში არსებობს ზედამხედველობის სამსახური რომელსაც ევალება, მონიტორინგი გაუწიოს აღნიშნულ სამუშაოებს, შეაფასოს, დადოს შესაბამისი დასკვნა და შემდეგ ჩაიბაროს, თუმცა ხდება ისე, რომ შესრულებულ სამუშაოებთან დაკავშირებით არის პრობლემა, მაგრამ ეს არ არის ასახული დასკვნაში და აღნიშნული სამუშაოები ჩაბარებულია. აქედან გამომდინარე საჭიროა საკრებულოს წევრების ჩართულობა საზედამხედველო სამუშაოებზე საკითხთან დაკავშირებით.

მალხაზ ციკუტანიამ აღნიშნა: ვეთანხმები გამოთქმულ მოსაზრებებს, მერიის შესაბამისი სამსახურის დასკვნის შემდეგ ხდება თანხის გადახდა გაწეულ სამუშაოებზე და ვთვლი, რომ საკრებულოს წევრები აქტიურად უნდა ვიყოთ ჩართულები შესრულებულ თუ შესასრულებელ სამუშაოების მონიტორინგში.

ზაზა პროკოპენკომ აღნიშნა: სოფელ ყულიშკარშიც წყლის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით სამუშაოები ჩატარებულია, მაგრამ ეტყობა არის უხარისხოდ შესრულებული, ვინაიდან პირი, რომელიც პასუხისმგებელია ჩართვაზე ვერ ვიპოვეთ, ვის შეუძლია ამაზე გამცეს პასუხი.

გიორგი თოდუამ აღნიშნა: სოფელ ნარაზენში კეთდება ძველი ხიზლისა და ჩხოროწყუს შემაერთებელი გზა, რომელიც 15 მარტს უნდა იქნეს ჩაბარებული, თუმცა ამჟამად, რომ ძალიან უხარისხოა, რომელზედაც პასუხისმგებელი არავინ არ არის. აღსანიშნავია ისიც, რომ სწორედ ამ კომპანიამ მოიგო ტენდერი, ჭაქვინჯში, ბაღმარანის უბანში გზის მშენებლობაზე.

ბესიკ ჭყუიამ აღნიშნა: რათქმაუნდა სამწუხაროა, რომ ბიუჯეტიდან დაფინანსებული პროექტები სრულდება უხარისხოდ. მივმართავ აპარატს, რომ უზრუნველყოს აღნიშნული საკითხის

განსახილველად მერიის შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლების მოწვევა, რომ მოვისმინოთ საკითხზე კომპეტენტური პირების შეხედულებები, ვიმსჯელოთ და დავსახოთ პრობლემის გადაჭრის გზები, რის შემდეგაც მივიღოთ საბოლოო გადაწყვეტილება, რომ ჩვენს მუნიციპალიტეტში მსგავს შემთხვევებს არ ჰქონდეს ადგილი. რაც შეეხება ტენდერებს, საკრებულოს წევრები, ვინაიდან ამას კანონი კრძალავს მონაწილეობას ვერ მიიღებენ სატენდერო კომისიაში.

ედიტა კოდუამ აღნიშნა: უკვე მერამდენედ ავღნიშნავ საკითხს, რომელიც გულისხმობს გრეიდერის თემას, რაზედაც ვფიქრობ, რომ შემენის შემთხვევაში ბიუჯეტიდან ბევრად მეტი თანხის დაზოგვას შევძლებთ, ვიდრე მისი დაქირავებით, რაზედაც მერამდენედ მივმართე მერიის შესაბამის სამსახურს განცხადებით, მაგრამ უშედეგოდ.

ბესიკ ჭყეიამ აღნიშნა: ვერ გეტყვით, რომ მერია წინააღმდეგია ამ ინიციატივის, უბრალოდ ვფიქრობ, რომ საჭიროა მოგვაწოდოთ დეტალური ინფორმაცია გაანგარიშებაზე, ვინაიდან შესაბამის სამსახურთან ერთად მოხდეს საკითხის შესწავლა, საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად. ვაფასებ და მივესალმები თითოეული თქვენგანის ჩართულობას, ასეთი აქტიურობა მიგვიყვანს სასურველ შედეგამდე.

კონსტანტინე კაკავამ აღნიშნა: ჩემი ინიციატივა ეხება თემას, რომელიც გულისხმობს ქალაქში, რამდენიმე ადგილას აფიშების განთავსებისთვის შესაბამის დაფას, რომელიც ჩემი შეფასებით, კარგი იქნება ფორმით ჰგავდეს ადამიანის სკულპტურას, რომელსაც ხელში ეჭირება ცნობის ფურცელი, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ეს დასახვეწია დიზაინერებთან, მაგრამ მუნიციპალიტეტში მოქალაქეების ჩართულობის თვალსაზრისით, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, უნდა არსებობდეს ევროპული სტილის სტენდი, რომელიც გამოყენებული იქნება ინფორმაციის გასავრცელებლად.

მიხეილ ცირდავამ აღნიშნა: მე გახლავართ ასოციაცია კოლხური ვაზის ხელმძღვანელი, ჩვენი ინიციატივა ეხება დადიანების ბაღში არსებული ძეგლის სახელწოდებას, რომელზედაც მხარის გუბერნატორის, მხრიდან გვაქვს მხარდაჭერა, რომ აღნიშნული ძეგლი რეაბილიტირებული დაუბრუნდება თავის ადგილს. ძეგლი თარიღდება მეშვიდე მერვე საუკუნით და მასზე გამოსახულია ქალი, რომელსაც ერთ ხელში ყრმა და მეორე ხელში ღვინით სავსე თასი უჭირავს, რაც გულისხმობს იმას, რომ მეძუძური დედა ღვინის ღირსებას უყოფს ყურადღებას, რაც შინაარსობრივად უკავშირდება მეღვინეობას. გამომდინარე აქედან მაქვს სურვილი, რომ ამ ძეგლს სახელად ერქვას „კოლხიმ ნანა“, ვინაიდან იცით, რომ „ნანა“ ლაზურ, მეგრულ-ჭანური სახელწოდებაა და ის სამეცნიერო წრეებში იდენტიფიცირებულია დიდ კოლხეთთან, ეს მნიშვნელოვნად წაგვადგება ღვინის რეალიზაციისთვის.

ბესიკ ჭყეიამ აღნიშნა: პირველ რიგში მისასალმებელია ის, რომ მოსახლეობის ჩართულობის დონე იზრდება მუნიციპალიტეტში, რაც შეეხება კონკრეტულ ინიციატივას, ამაზე საჭიროა მოეწყოს საჯარო განხილვა, სადაც სპეციალისტებთან ერთად მსჯელობის შედეგად მივიღებთ საბოლოო გადაწყვეტილებას.

ირაკლი ლავგილაშვილი აღნიშნა: ჩემი ინიციატივა ეხება მოქალაქე გივი ქარჩავს განცხადებას, რომლის სურვილია, რომ ზუგდიდში დაიდგას ქაზიმ ქოიუნჯუს ძეგლი, რომელიც იყო ეთნიკურად ლაზი წარმოშობის ადამიანი, დაბადებული და გაზრდილი თურქეთის ტერიტორიაზე ისე, რომ საერთოდ არ იცოდა ლაზური ენა, თუმცა მან თავის თანამოაზრეებთან ერთად ჩამოაყალიბა ლაზური ენის როკ-ჯგუფი, რამაც საზოგადოებას გაუჩინა ლაზური ენის სწავლების დიდი მოტივაცია. აღსანიშნავია ისიც, რომ სტამბულში იმართება კონფერენცია ზოგად-ქართულ და კოლხურ კულტურაზე, სადაც გაჟღერდება ინფორმაცია, ზუგდიდში აღნიშნული ძეგლის განთავსებასთან დაკავშირებით, რაც ხელს შეუწყობს იმ ხიდის გადების მცდელობას, რომელიც მესამე საუკუნეა არ გვექონია, თუმცა ვთვლი, რომ აღნიშნული ინიციატივის დადებითად შეფასება, მნიშვნელოვანი იქნება კომუნიკაციის თვალსაზრისით.

ანა წითლიძემ აღნიშნა: მივესალმები ინიციატივას, რადგან ვთვლი, რომ ეს ხელს შეუწყობს იმ ისტორიული ხიდის აღდგენას, რომელიც საუკუნეების წინ არსებობდა კოლხებსა და ლაზებს შორის. მნიშვნელოვანია ასევე ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით, ვინაიდან გამოიწვევს ლაზების დაინტერესებას. მინდა გავაჟღერო ინფორმაცია, რომელიც ეხება კომბინატის კულტურის სახლში არსებული უფასო კურსების, პირველი მარტიდან ფასიანად ჩანაცვლებას, რომელზედაც ვითხოვ პასუხს, თუ აქამდე შესაძლებელი იყო აღნიშნული სასწავლებელი ყოფილიყო უფასო, რატომ გახდა აუცილებელი თანხა გადავახდევინოთ მარჩენალდაკარგულ ადამიანებს, რომლებსაც სჭირდებათ დახმარება.

ბესიკ ჭყეიამ აღნიშნა: აღნიშნულთან დაკავშირებით ქალბატონ ეკა კიფაიას ვთხოვ, ვინაიდან ის გახლავთ განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ და გენდერულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მოიძიოს სრულყოფილი ინფორმაცია, რომ დასმულ კითხვას გაეცეს შესაბამისი პასუხი.

მიხეილ ჯობავამ აღნიშნა: იცით, რომ ცაცხვის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებობს თამაზ ჟორჯოლიანის სახელობის პარკი, სადაც უნდა ჩატარდეს მოწყობითი სამუშაოები, რასაც სჭირდება პროექტირება, რაზედაც დეტალურ ინფორმაციას მოგაწვდით ქალბატონი ნონა ესებუა.

ნონა ესებუამ აღნიშნა: მე გახლავართ მერის წარმომადგენელი ცაცხვის ადმინისტრაციულ ერთეულში და მინდა შევეხო ყველა თქვენთაგანისთვის მნიშვნელოვან თემას, რომელიც ეხება თამაზ ჟორჯოლიანის სახელს. დამეთანხმებით, რომ თამაზ ჟორჯოლიანი არ იყო ჩვეულებრივი საკრებულოს წევრი ის გახლდათ დიდი მამულიშვილი, შესაბამისად მოსახლეობის ინიციატივა იყო, რომ ცაცხვის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებულ ხეივანს, რომელსაც სჭირდება რეაბილიტაცია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს მხარდაჭერით მიენიჭა თამაზ ჟორჯოლიანის სახელი, რისთვისაც მაღლობას გიხდით, მაგრამ აქვე აღნიშნავ, რომ თუ ამ ხეივანს არ მიეცა სკვერის სახე უბრალოდ სირცხვილია, რომ იქ წარმოდგენილ მხოლოდ ათეულობით ხეს ერქვას მისი სახელი. სწორედ ამიტომ აღნიშნულ ადგილას სკვერის მოსაწყობად, საჭიროა პროექტირება, რისთვისაც ვითხოვთ თქვენს მხარდაჭერა.

ბესიკ ჭყეია აღნიშნა: პროექტის შექმნაში პრობლემას ვერ ვხედავ იქედან გამომდინარე, რომ მერიაში ბოლომდე არ არის ათვისებული პროექტირებისთვის გამოყოფილი თანხები. თუმცა, ვინაიდან აღნიშნული პროექტი საკმაოდ ძვირადღირებულია, რომლის დაფინანსება მუნიციპალიტეტმა შესაძლოა ვერ მოახერხოს, ასეთ შემთხვევაში მივმართავთ რეგიონული განვითარების ფონდს, რათა თანხები მიმართული იქნეს ცენტრალური ბიუჯეტიდან. საკრებულოს პოზიცია აღნიშნულთან დაკავშირებით გარკვეულია, შესაბამისად საკითხი ამოწურულია.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხი განხილულ იქნა.

სხდომა დახურულად გამოცხადდა

საკრებულოს თავმჯდომარის მ/შ:



ბესიკ ჭყეია